



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის 038/15¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ლილი ნოდია (სტუდენტი)

ფაქტები

ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა და მოითხოვა ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ადვოკატს კლიენტისთვის არ უცნობებია და არც თავად გამოცხადებულა 2013 წლის 23 ოქტომბრის სასამართლოს სხდომაზე, რის შედეგად სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა. აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. მხარეებს გაფორმებული ჰქონდათ იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება. მხარეთა შეთანხმებით კლიენტს უნდა გადაეხადა საადვოკატო მომსახურების ჰონორარი 500 ლარი 2013 წლის 1 სექტემბრამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შორის გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება შეწყდებოდა. ადვოკატმა ხელშეკრულებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კლიენტს მოსთხოვა პირობების შესრულება. კლიენტმა არ გადაიხადა საადვოკატო მომსახურების საფასური, მათ 2013 წლის 15 სექტემბერს გააფორმეს შეთანხმება საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შესახებ და ამ შეთანხმებას კლიენტმა ხელი მოაწერა. ამის შემდეგ ადვოკატმა კლიენტს გადასცა საქმის მასალები სრულად. ადვოკატისთვის ცნობილი არ იყო სასამართლოს პროცესის თარიღი, რომელზეც გამოუცხადებლობის შედეგად მოსამართლემ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა. ადვოკატს დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ ჩაბარებია.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, მან ყველა შესაძლო საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულება, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით, ამასთან, ადვოკატის ვალდებულებაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ის ინფორმაცი, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას. ურთიერთობის დაწყებისას მხარეები უნდა შეთანხმდნენ მათთვის მისაღებ ისეთ კომუნიკაციის ფორმაზე, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება მათ შორის ეფექტური კომუნიკაცია. სადავო გადაწყვეტილების გამოსვლის დროს ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა შეწყვეტილი იყო. არ დასტურდება სხდომის შესახებ სასამართლოს უწყების ადვოკატისათვის ჩაბარების ფაქტი. ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობის შეწყვეტისას, კლიენტს ჰქონდა გონივრული ვადა - 38 კალენდარული დღე იმისათვის, რომ ესარგებლა სხვა წარმომადგენლის სამართლებრივი მომსახურებით ან რადგან დავა ჯერ პირველ ინსტანციაში მიმდინარეობდა, თავისი უფლებები დაეცვა თავად. ეთიკის კომისიამ გაითვალისწინა ის სავარაუდო ზიანი, რომელიც კლიენტს მიადგა სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შედეგად. თუმცა, გადაწყვიტა, რომ ზიანი ადვოკატის ბრალეული ქმედებით გამოწვეული არ ყოფილა. კლიენტს არ შეიძლებოდა შექმნოდა გონივრული ვარაუდი, რომ ადვოკატი საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შემდეგ გააგრძელებდა მის მომსახურებას.

დასკვნა

ადვოკატის მიმართ არ აღიძრა დისციპლინური დევნა, რადგან არ არსებობდა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

¹ <https://gba.ge/pdf/5c50645ecee93.pdf/5c50645ecee93.pdf>